

# ქონების დეკლარაციის ანგარიშით დარღვევის კრიტერიუმები კანონის ნაცვლად, შესაძლოა მთავრობამ განსაზღვროს



საქართველოს პარლამენტი განიხილავს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში ცვლილებებს, რომელიც დეკლარაციაში არსებული დარღვევის კრიტერიუმებს და დეკლარაციაში შესატანი ქონების ღირებულების ზღვრების შეცვლას შეეხება.

## კანონი, ინიციატორი

**კანონი:** „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.  
**ინიციატორები და ავტორები:** პარლამენტის წევრები: გიორგი კახიანი, გურამ მაჭარაშვილი, კარლო კოპალიანი, ალექსანდრე ერქვანია.

## კანონპროექტის არსი

- კანონპროექტით შემოთავაზებული ძირითადი ცვლილებები:
- თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის კრიტერიუმებს კანონის ნაცვლად, მთავრობის დადგენილება განსაზღვრავს.<sup>1</sup>
  - იცვლება დასაბუთებული ქონების ქვედა ზღვრები.

## 1. თანამდებობის პირის დეკლარაციის ანგარიშით დარღვევის კრიტერიუმები

მოქმედი რეაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
განსაზღვრულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით	განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით

დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის ცნების განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან არსებითი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, თანამდებობის პირი ჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს 25%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, ხოლო არაარსებითი დარღვევის შემთხვევაში, პირს ეძლევა გაფრთხილება.

## „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის თანახმად ანგარიშით დარღვევის კრიტერიუმები განსაზღვრულია:

- უძირვე ქონება**  
საცხოვრებელი ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის **20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 40 კვ.მ.-ს**
- არასაცხოვრებელი ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის **20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 20 კვ.მ.-ს**
- არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის **10%-ს, მაგრამ არაუმეტეს 100 კვ.მ.-ს**
- სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის **20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 500 კვ.მ.-ს**
- საბანკო ანგარიშები**  
ჯამური ცდომილება ფიქსირდება არაუმეტეს **500 ლარის** ოდენობით.  
დაუდებელი საბანკო ანგარიში თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იგი არამოქმედია და ან ფიქსირდება ბრუნვა, მაგრამ არაუმეტეს **100 ლარისა**.
- სამეწარმეო საქმიანობა**  
სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციაში არ არის ასახული საწარმო, რომელიც თანამდებობის პირი მონაწილეობს და რომელიც არ ფუნქციონირებს დეკლარაციის შევსების თარიღამდე **5 ან მეტი წელი**.
- ანაზღაურებადი საფუძო**  
დეკლარაციაში დაფიქსირებულ ანაზღაურებასა და რეალურ მონაცემებს შორის ცდომილება არაუმეტეს **500 ლარია**.
- ხელშეკრულება**  
ცდომილება მატერიალური შედეგის დაანგარიშებაში არ აღემატება **1000 ლარს**.

## 2. დასაბუთებული შემოსავლისა და ქონების ღირებულების ქვედა ზღვრების ცვლილება


იხილეთ დასაბუთებული შემოსავლისა და ქონების ღირებულების ქვედა ზღვრები:
თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფული, რომელიც აღემატება/არის 4000 ლარი, იზრდება 10 000 ლარამდე. <b>4000 ლარი</b> ▶ <b>10 000 ლარი</b>
პირის, ან მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის საგნის ღირებულება აღემატება/არის 3000 ლარი, იზრდება 10 000 ლარამდე. <b>3000 ლარი</b> ▶ <b>10 000 ლარი</b>
პირის ან მისი ოჯახის წევრის შემოსავალი, რომელიც აღემატება/არის 1500 ლარი, იზრდება 3000 ლარამდე. <b>1500 ლარი</b> ▶ <b>3000 ლარი</b>
პირის ან მისი ოჯახის წევრის გასავალი, რომელიც აღემატება/არის 1500 ლარი, იზრდება 5000 ლარამდე. <b>1500 ლარი</b> ▶ <b>5000 ლარი</b>

## შეფასება/რეკომენდაცია

**თანამდებობის პირთა დეკლარაციის არაარსებითი დარღვევის კრიტერიუმების კანონიდან ამოღება და მთავრობის დადგენილების სახით მიღება მნიშვნელოვნად გააუარესებს პროცესის გამჭვირვალობას, გაზრდის კორუფციის რისკებს და უარყოფითად იმოქმედებს დეკლარირების სისტემის ეფექტურობაზე, გაამარტივებს მომავალში კრიტერიუმების ხშირ ცვლილებას, მათ შორის არსებითად გაფართოვებას.** მთავრობა, პარლამენტისგან განსხვავებით, სრულიად მმართველი გუნდის წევრებით არის დაკომპლექტებული, რაც კიდევ უფრო ზრდის რისკებს, რომ კრიტერიუმები სათანადო განხილვის გარეშე და ლეგიტიმური აუცილებლობის საფუძვლის გარეშე იქნება მიღებული.

2018 წლის აპრილში კანონში არაარსებითი დარღვევის ცნების და კრიტერიუმის შემოღების მთავარი მიზეზი იყო საჯარო სამსახურის ბიუროს **2017 წლის მონიტორინგის ანგარიშის შედეგები**, რომლის მიხედვითაც შემოწმებული 287 თანამდებობის პირის დეკლარაციიდან 78% უარყოფითად შეფასდა, მათ შორის საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული დეკლარაციებიც.<sup>2</sup> არაარსებითი დარღვევის ცნების შემოღებით, როგორც კანონპროექტის ავტორები **განმარტავდნენ**, ამ მძიმე სტატისტიკის შეცვლას ისახავდნენ მიზნად.

2018 წლის 31 დეკემბერს საჯარო სამსახურის ბიურომ გამოაქვეყნა თანამდებობის პირთა **დეკლარაციების 2018 წლის მონიტორინგის** შედეგები, რომლიდანაც ირკვევა, რომ 2018 წლის განმავლობაში შემოწმებული 348 თანამდებობის პირის დეკლარაციიდან 73% უარყოფითად იქნა შეფასებული, ხოლო არაარსებითი დარღვევა 8%-ს დაუდგინდა.



1 ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის ცნება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონს გასულ წელს **დაემატა**, მასში დაწვრილებით გაიხურა დაღვევის ისეთი შემთხვევები, როდესაც ის არაარსებითად ჩაითვლება.  
2 საჯარო სამსახურის ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევის საფუძველზე შეისწავლა პარლამენტის წევრთა დეკლარაციაში არსებული დარღვევები, რის გამოც პარლამენტის 54 წევრი დაჯარიმდა. იხ. კვლევა: <https://bit.ly/2BL5SGW>

